



სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მისიაა მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის; ხელი შეუწყოს უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდას; რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, კოლეჯი ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და მომსახურების სფეროზე, რითაც ხელს უწყობს რეგიონის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას.

კოლეჯი:

- ნერგავს თანამედროვე ტექნოლოგიებს
- ზრუნავს კადრების მუდმივ განვითარებაზე
- ამყარებს კავშირებს კერძო სექტორთან და უცხოელ პარტნიორებთან
- ხელს უწყობს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვას
- ხელს უწყობს დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობასა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზებით
- ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა და თვითდასაქმებაში კონსულტირების გზით
- აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საერთო მიზნების (კვალიფიციური კადრების მომზადება და ეკონომიკის განვითარება) მისაღწევად

კოლეჯის ხედვა: კოლეჯი 2023 წლისათვის ჩამოყალიბდეს ლიდერ კოლეჯად კვალიფიციური კადრების მომზადების და კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით, რითაც ხელს შეუწყობს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

კოლეჯის ღირებულებებია

- თანამშრომლობითი და თანასწორი გარემოს შექმნა
- ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა
- გუნდური მუშაობის უზრუნველყოფა
- სწავლის თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა
- ინოვაციების მხარდაჭერა
- დაწესებულების ღიაობა, გამჭვირვალობა